ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3175924

ნომერი: AR1490286

თარიღი : 27.03.2017

გაცემის თარიღი : 30.03.2017

გაცნობის თარიღი : 30.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-3 , მიკრო/რაიონი IIIა , კორპუსი 338 , მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი სალთხუციშვილი პ/ნ 12001010614
- თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ I კვ. კორ. 14 ბ. 105

ორგანიზაცია:

- შპს ელიტ მეტალი კოდი: 406052685

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის

“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა 2017 წლის 27 მარტის AR1490286 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი–3, მიკრორაიონი IIIა, კორპუსი N338-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.012.011) საყოფაცხოვრებო ობიექტის (ავტოსერვისი) განთავსების მიზნით დამტკიცებულ №1723764 გადაწყვეტილებაში ცვლილება ახალი ფუნქციის ღია კაფეს დაფიქსირების მიზნით. პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მზადდება საკადასტრო საზღვრებში მოქცეული დარეგისტრირებული საკადასტრო ერთეულისთვის და მისი მომზადების ერთ–ერთ საფუძველს წარმოადგენს საკადასტრო გეგმა ან საკადასტრო რუკა. რადგან წარმოდგენილი ესკიზის მიხედვით საპროექტო მიშენება სცდება ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებს ამ ეტაპზე მშენებლობის ნებართვის I სტადია ვერ გაიცემა.

საკითხის განხილვისათვის საჭიროა წარმოადგინოთ სასურველი საპროექტო ტერიტორია დარეგისტრირებული ერთიან საკადასტრო ერთეულად ან წარმოადგინოთ ისეთი ესკიზური გადაწყვეტა, რომ ობიექტი მოქცეული იყოს რეგისტრაციის საზღვრებში. საპორექტოდ შერჩეული ტერიტორიის დარეგისტრირების შემდეგ ამავე განაცხადში რუკაზე თავიდან უნდა მონიშნოთ მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდის მითითებით, რის შედეგად ავტომატურად დაფიქსირდება მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მოსამზადებლად საჭირო ყველა ინფორმაცია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2017 წლის 27 მარტის AR1490286 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.